ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 496

"24" ოქტომბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-5 მუხლის, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 1 ოქტომბრის №25.1646.1848 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონებების: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული 85 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.432) გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურის გარეშე პრივატიზებაზე, ლელა პატიაშვილის (პ/ნ. 01011061404) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩისა და თამარაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე არსებული 74 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა №1-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.188) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე